დანართი N2

დაინტერესებული პირების მიერ კომენტარებისა და მოსაზრებების საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მიწოდების ფორმა საჯარო კონსულტაციების ფარგლებში

- გამოქვეყნებული ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკისათვის (შემდგომში - ეროვნული ბანკი) მოსაზრებებისა და კომენტარების მოწოდება უნდა განხორციელდეს ამ ფორმის მიხედვით[1]. ეროვნული ბანკი განიხილავს და უპასუხებს მხოლოდ ამ ფორმის შესაბამისად მოწოდებულ არგუმენტირებულ კომენტარებსა და მოსაზრებებს. ავტორის იდენტიფიცირების გარეშე მოწოდებული მოსაზრებები/კომენტარები არ განიხილება.
- ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით, შესაბამისი სექტორის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული მოსაზრებები/კომენტარები ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გასაჯაროვდება ავტორის (შესაბამისი სექტორის წარმომადგენელი/საზედამხედველო სუბიექტი) იდენტიფიცირებით. სხვა დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები/კომენტარები ავტორის იდენტიფიცირებით მხოლოდ მათი თანხმობის შემთხვევაში გასაჯაროვდება, რის შესახებაც ცხადად უნდა იყოს გამოხატული მათ მიერ მოსაზრებების/კომენტარების ეროვნული ბანკისთვის მიწოდებისას (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი გრაფა). თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში, ეროვნულმა ბანკმა მოწოდებული მოსაზრებები შესაძლოა არ განიხილოს, ხოლო, განხილვის შემთხვევაში, შესაძლოა ავტორის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითების გარეშე გამოაქვეყნოს. ამასთან, თუ კონკრეტული მოსაზრება/კომენტარი მოიცავს/შეეხება თქვენთვის სენსიტიურ, კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციას, რომლის გასაჯაროებაც არ გსურთ, გთხოვთ, „სხვა კომენტარის“ გრაფაში ცხადად მიუთითოთ აღნიშნულის შესახებ და დაასაბუთოთ.
- ეროვნული ბანკი, მოწოდებული მოსაზრებების/კომენტარების პროექტში გათვალისწინების თაობაზე, როგორც წესი, შეიმუშავებს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნებს საპასუხო შემაჯამებელ დოკუმენტს.
- დაინტერესებული პირების მიერ მოსაზრებების/კომენტარების წარმოდგენა, არ ავალდებულებს ეროვნულ ბანკს ნორმატიული აქტის პროექტში მათ გათვალისწინებას. ამასთან, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კვლავ გადაამუშაოს გამოქვეყნებული ნორმატიული აქტის პროექტი.

გთხოვთ, მიუთითოთ აცხადებთ თუ არა თანხმობას, რომ ეროვნულმა ბანკმა თქვენ მიერ მოწოდებული მოსაზრებები/კომენტარები (გარდა სენსიტიური/კონფიდენციალური ხასიათის მოსაზრებებისა/კომენტარებისა) ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს თქვენი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითებით?[2]

☐ **კი**

☐ **არა**

* დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა.

კომენტარის/მოსაზრების ავტორი[3]	**ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისი ნორმა/მუხლი**	**ნორმატიული აქტის პროექტის დასახელება, რომელთან დაკავშირებითაც ხდება**	**ნორმატიული აქტის პროექტში მოთხოვნილი ცვლილება/ალტერნატიული შემოთავაზება**	**მოთხოვნილი ცვლილების/ალტერნატიული შემოთავაზების დასაბუთება**	**სხვა კომენტარი**

[1] დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში, ამ ფორმას ცალკე დოკუმენტის სახით დაურთონ უფრო ვრცელი კომენტარი/მოსაზრება/კვლევა

[2] ივსება მხოლოდ იმ დაინტერესებული პირების შემთხვევაში, რომლებიც არ არიან შესაბამისი სექტორის წარმომადგენლები/საზედამხედველო სუბიექტები

[3] სექტორის წარმომადგენლის/საზედამხედველო სუბიექტის შემთხვევაში, უნდა მიეთითოს შესაბამისი სექტორის წარმომადგენლის/საზედამხედველო სუბიექტის დასახელება

		მოსაზრების/კომენტარის მოწოდება			
სს „საქართველოს ბანკი“	30[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი	„ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	გაიზარდოს თანხობრივი ლიმიტები და ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ა) ოპერაციის განხორციელების მომენტისთვის ოპერაციას დაქვემდებარებული აქტივებისა და შემძენის აქტივების საბალანსო ღირებულება ჯამურად, საქართველოს ტერიტორიაზე, **500 მილიონ აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს ლარში)** აღემატება და ამასთან, ოპერაციას დაქვემდებარებული აქტივების საბალანსო ღირებულება საქართველოს ტერიტორიაზე **100 მილიონ აშშ დოლარს (ან მის ეკვივალენტს ლარში)** აღემატება.“	ვფიქრობთ, ნორმით დადგენილი თანხობრივი ლიმიტები შეუსაბამოდ მცირეა არსებული ბაზრისა და მასზე განხორციელებული ოპერაციების თვალსაზრისით.	
სს „საქართველოს ბანკი“	30[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი	„ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	ნორმის ფორმულირებაში მიეთითოს „გადასახდელი/გადახდილი ღირებულება“ ნაცვლად „საბალანსო ღირებულებისა“. კერძოდ, ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ა) ოპერაციის განხორციელების მომენტისთვის ოპერაციას დაქვემდებარებული	ვფიქრობთ, ოპერაციას დაქვემდებარებული აქტივების ღირებულების დაანგარიშება უნდა მოხდეს არა საბალანსო ღირებულებით, არამედ - აქტივის სანაცვლოდ შეთანხმებული და რეალურად გადასახდელი/გადახდილი საფასურის მიხედვით.	

			აქტივებისა და შემძენის აქტივების საბალანსო ღირებულება ჯამურად, საქართველოს ტერიტორიაზე, 500 მილიონ ლარს აღემატება და ამასთან, ოპერაციას დაქვემდებარებული აქტივების **შესაძენად გადასახდელი/გადახდილი ღირებულება** საქართველოს ტერიტორიაზე 100 მილიონ ლარს აღემატება.“	ხშირ შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება აქტივის ღირებულების შეფასებისათვის არარელევანტური მონაცემია. საბალანსო ღირებულებაში ხშირად არ აისახება მთელი რიგი ისეთი ფაქტორები, რამაც აქტივის გაუფასურება გამოიწვია. ამდენად, ვფიქრობთ, უმჯობესია „საბალანსო ღირებულება“ დაკორექტირდეს ჩანაწერით - „შესაძენად გადასახდელი/გადახდილი ღირებულება“.	
სს „საქართველოს ბანკი“	30[2] მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი	„ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	ზედა კომენტარის ანალოგიურად, ნორმის ფორმულირებაში მიეთითოს „გადასახდელი/გადახდილი ღირებულება“ ნაცვლად „საბალანსო ღირებულებისა“. კერძოდ, ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „გ) ოპერაციას დაქვემდებარებული აქტივების **შესაძენად გადასახდელი/გადახდილი ღირებულება**, ხოლო თუ მოხდა აქტივების საბაზრო ღირებულების შეფასება, შესაბამისი შეფასების დასკვნაც“.	თუ ოპერაციას დაქვემდებარებული აქტივების ღირებულების დაანგარიშება მოხდება არა საბალანსო ღირებულებით, არამედ - აქტივის სანაცვლოდ შეთანხმებული და რეალურად გადასახდელი/გადახდილი საფასურის მიხედვით, აღნიშნული გამოიწვევს ცვლილებას დასახელებულ ქვეპუნქტშიც. შესაბამისად, ვფიქრობთ მიზანშეწონილია, აღნიშნული ჩანაწერი დაკორექტირდეს იმგვარად, რომ მითითება გაკეთდეს **რეალურად გადასახდელი/გადახდილი** საფასურის შესახებ ინფორმაციის წარდგენის	

				თაობაზე, ნაცვლად - ოპერაციას დაქვემდებარებული აქტივების საბალანსო ღირებულებისა.	
სს „საქართველოს ბანკი“	30[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი	„ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	1. 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში „ა“ ქვეპუნქტის მსგავსად დაზუსტდეს, რომ იგულისხმება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული აქტივების შეძენის ოპერაციები: „ბ) უკანასკნელი ფინანსური წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ეკონომიკურ აგენტებს შორის ამ მუხლით გათვალისწინებული ოპერაციების განხორციელებით, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზღვრული მაჩვენებლები, **საქართველოს ტერიტორიაზე,** ჯამურად კმაყოფილდება.“ 2. ზედა კომენტარის ანალოგიურად, დაემატოს მითითება „ოპერაციების ფარგლებში გადასახდელ/გადახდილ თანხებზე“. კერძოდ, მუხლის ჩანაწერი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:	1. ვფიქრობთ, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული აქტივების შეძენის ოპერაციები არ უნდა მოიცვას აღნიშნულმა შემთხვევამ და არ დაექვემდებაროს ეროვნული ბანკის მხრიდან ზედამხედველობას. იმისათვის, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია გამოირიცხოს, აუცილებელია ნორმაში იქნას გათვალისწინებული დაზუსტება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული აქტივების შეძენის ოპერაციასთან დაკავშირებით. 2. მიგვაჩნია, რომ ამ ქვეპუნქტის ფარგლებშიც, 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე არსებული კომენტარის ანალოგიურად, უმჯობესია დაზუსტდეს, რომ მოიაზრება ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერაციების ფარგლებში **გადასახდელი/გადახდილი** ღირებულება.	

			„ბ) უკანასკნელი ფინანსური წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ეკონომიკურ აგენტებს შორის ამ მუხლით გათვალისწინებული ოპერაციების **ფარგლებში გადასახდელი/გადახდილი თანხებით,** ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზღვრული მაჩვენებლები ჯამურად კმაყოფილდება.“		
სს „საქართველოს ბანკი“	30[2] მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი	„ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	ზედა კომენტარის გათვალისწინებით, დასახელებულ ქვეპუნქტში, პროექტის არსებული რედაქციის 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ანალოგიურად, გაკეთდეს დაზუსტება, რომ იგულისხმება **საქართველოს ტერიტორიაზე** განხორციელებული აქტივების შემენის ოპერაციები. კერძოდ, ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ე) ამ წესის 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უკანასკნელი ფინანსური წლის განმავლობაში იმავე ეკონომიკურ აგენტებს შორის, **საქართველოს ტერიტორიაზე,** განხორციელებული ყველა	თუ ზედა კომენტარის გათვალისწინებით დაკორექტირდება პროექტის 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და დაზუსტდება, რომ შეტყობინებას ექვემდებარება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ოპერაციები, მიზანშეწონილი იქნება, აღნიშნული მითითება გაკეთდეს წინამდებარე ქვეპუნქტშიც. შედეგად, ცალსახად გამოიკვეთება, რომ ეროვნულ ბანკს მიეწოდება ინფორმაცია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით.	

			ოპერაციის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, ამ პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია, მათ შორის, თითოეულ ოპერაციასთან მიმართებით ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.“		